

მკვლევარი
გიორგი ბერიძე

ნაბაღუღი



საბავშვო გამომცემლობა



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 3

1921 წლის 09.03.21



245



1921 წლის 09.03.21

შ ი ნ ა ა რ ს ი :

1. სურათი წვიმა	1
2. მომავლის ყრმათა სიმღერა, (მიბაძვა ინტერნაციონალისა)—ლექსი ი. სიხარულიძისა	3
3. დაკარგული ზღაპარი,—ნ. კეცოველისა	5
4. სიმღერა სოფელში,—ლექსი შიპქრალისა	12
5. დაკარგული შვილები,—(შემდეგი)	13
6. განთიადი,—ლექსი შიო მღვიმელისა	18
7. მურზილა,—(შემდეგი) თარ. ნ. დიასამიძისა	20
8. სცენებური ფრთოსნები: დალდა,—პ. საყვარელიძისა	28
9. ქოლდრის კაცები აფრიკაში,—ვ. კირსალაძისა	30





მომავლის ურმათა სიმღერა.

(მობაძეა სამავშო ინტერნაციონალისა)



ავისუფალი ხალხის შედეგები
ახალი ეოფნით გარდავიქმნებით,
და თვალუკუკუნა, ნაზ ვევაფილებით
მომავლის ტრფობით გავიფუნქნებით.



გვსურს დავივიწყოთ ბნელი წარდაფი,
მიმშილ-სიციფე, ტანჯვა-წვალება,
წინ მიგვაქროლებს ცხოვრება სწრაფი,
თავისუფლების მზე გვალება.

ჩვენთვის მზადა აქვს პროპის სამეფოს
თავისუფლების ალთქმული ბადი,
და ჩვენც მომავლის მკვირცხლი მერცხლებით
მიგ დაუნავარდობთ, ფრთა-ცელები, ლადი.


იქ მზე ანათებს მუდამ დღე უხვად,
მუბაღეც ტრფობით სულ თავს გვევლება,
ვევაფით, ვიძლებით, ვწიკტიკობთ, ვმღერით,
გატკობებს სივრცე და თავისუფლება.



ვესაუბრეთ წუჯლს, ბაღასს, ფრინველთ,
 ვიღვრით, ვიცინით, ვცვლქობთ, ვძაღვსაზობთ,
 იქ არ არსებობს მოწვევა, დაღლა,
 ვუვაილებს შორის ვევაზეთ, ვღამაზობთ.

თავისუფალი ხალხის შვილები
 ახალი უოფნით გარდავიქმნებით,
 და თვალეუყუნა, ნახ ვევაილებით
 მოძაფლის ტრფობით გავიფურჩქნებით.

ილ. სიხარულიძე.





დაკარგული სღანარი.



თული დღე სირბილითა და თამაშობით მო-
ღლილი თებრო და გიგა სღანართი მოწ-
ყვილები სახლში ისხდნენ და არ იცოდნენ,
რა გაეკეთებინათ, რომ ან დედა ან ძაძა არ გაეჯავრებინათ.
მათი საქმე ცუდად იქნებოდა, რომ მოხუცი ბებია არა ჰყოლოდათ,
რომელიც შემოისწავდა ბავშვებს და სღანარებსა და არაკებს
უამბობდა. თებროსა და გიგოს ისე შეუყვარდათ ეს სღანარე-
ბი, რომ თუ სღანარზე ბებია ერთს-ორს არ უამბობდა, ძი-
ლი არ მიეკარებოდათ.

მეტადრე საძირის გრძელ ღამეში თითქმის ძალით დას-
ვამდნენ სოღმე ბებიას ბუხრის წინ და აღაპარაკებდნენ იმ
დრომდე, სანამ თითონაც და ბებიაც არ დაიღლებოდნენ.

როდესაც ცამეტოაჯიან მღვესა და ასფურცელას მო-
რის ბრძოლა იწყებოდა, თებრო და გიგა თვალების ხაშხაშს
უმატებდნენ და ბებიას აღარ აცლიდნენ:

— ბები, ასფურცელამ აჯობა, არა?

— დამარცხდა მღვეი, არა?



— დაიწათ, შვილებო, ესღაჲჲ გიამბობთ უკუალაფურს, ვეროდან სოლმე ბებია და კვლავ განაგებობდა ამბავს.

მეტად, მეტად უკვარდათ ბებიას ზღაპრები, მაგრამ დასე იმათ ბედ'ს და იბბაღს, ერთ დღეს ბებიას ზღაპრები დაჯვარდა-



აი როგორ მოსდა ეს ამბავი. ერთ შვენიერ დღეს, როცა ღრუბლიან ცაზე მსუქ გამოაჭეიტა და სუსტი სსივეებით არემარეს მიუღაერსა, გიგამ და თუბრომ კვდარ შოითმინეს, სახლიდან ფრთხილად გამოძვრნენ და ქოჩორა, მეცივნულ ბელურებს. სარევევლა დაუდგეს, ლასტ ქვეშ ბზე მიაფრქ-
 მიაფრქვიეს, სედ ზურის ნამცეცები დაჯვარეს და საბბლიდან გულის ფანცქალით დაუწვეს ლოდინი. არ განულა დიდი დრო,



რომ ერთი ბელურა, რომელიც ალბად გამოუცდელი
შესცდა და ლასტის ქვეშ შეხტა. ბავშვებმა თოვს ხელი გა-
მოჭკრეს და ჩიტი ლასტ ქვეშ მოჭკვა. ერთი კი დაიწ-
რიანა და მიუწდა. გიგა და თებრო გამოხტნენ საფარიდან
და ფენ-მოტეხილი და მეძინებული ბელურა გამოიყვანეს.
მერე განხრებულნი, თითქოს დიდი რამ საქმე გადავეთეს, სახლ-
ში გაიქცნენ.

— სად დარბიხართ, ჯა?! — უთხრა დედამ სახეაწითლე-
ბულ ბავშვებს.

— აი, დედა, ბელურა დავიჭირეთ! — უმასუხეს ამაყად და
ფენ-მოტეხილი ფრინველი გაუწოდეს, რომელიც საბრალოდ
ფრთხილად და ტკივილისგან ზიონს აღებდა.

— რა გიქნიათ, შვილო, ეგ, არა გრცხვენიათ?!

— ბელურა დავიჭირეთ!.. — მწერაღად უთხრა ბებია.

— მერე რა არის, რომ დავიჭირეთ? — სთქვა გიგამ და
მეუღლენ მსადგებას, რომ ზატარა ტყვე კალიაში მოეთავსე-
ბინათ.

სადღაც კალია იზოვნეს, მიკ ჰურის მარცვლები ნაჭვარეს,
წვალის ნადგეს და ბელურა ჩასუეს. მაგრამ დაჭრილი ბელუ-
რა ხედაც არ მიჭკარებია, თვალებიდან ცრემლი სდიოდა,
თითქოს თავის დაკარგულ სიცოხლეს სტირისო, და საცოდა-
ვად შესცქეროდა დამტყვევებელთ. საღამომდე ძლივს განძლია,
ბავშვების თვალწინ ერთი გააკანკალა და სიცოცხლეს გამო-
ესალმა.

თებროს და გიგას დაენახათ, რომ განართობი დაჭკარ-
გეს, მაგრამ ძალე ვეკლაფერი დაივიწყეს.

საღამოთი, როდესაც კარში ქარმა ზუსუნია გააბა, თებ-
რო და გიგა ბებიას შემოუსდნენ.



— ბები, ასფურცელას ზღაპარი გვიამბე, ბები! — შიშვენი
 ჰიკეს მოთმინება დაკარგულებმა.

— ზღაპარი დამკვარვა, შვილებო...

— ვაი, ბები, როგორ დაგკვარვა, სად დაგკვარვა?! — ძე-
 კითხნენ ზედი-ზედ.

— სადა, შვილებო, და თქვენ რომ დილას ღმერთს აწ-
 ვუნებთ, ჩიტი რომ დაიჭირეთ, იმისი სული მოვიდა ჩემ-
 თან და ზღაპარი წაიღო.



— არა, ბები, არა! — არ იჯერებდნენ.

— არა კი არა, ჰო! ეველა ჩიტის, ეველა ცხოველის სი-
 კვდილი ცოდვაა, იმიტომ განხდნენ ქვეყანაზე, რომ იმათაც
 სიციცსლე უნდათ და თქვენ კი აიღეთ და მოჭკალით...

— როდის მოკვალით, თითონ მოკვდა...

— თქვენ რომ არ დაგეჭირათ და უფსი არ მოგეტყუათ,
 არ მოკვდებოდა, აი იმ ჩიტმა წაიღო ჩემი ზღაპარი და
 სოქვა, სანამ გიგო და თებრო დანამაუღეს არ გამოიხვი-
 დიან, ზღაპარს ვერ იპოვიო.



ესლა კი დაწმუნდნენ, რომ ზღაპარი დაკარგულია. მანუაი
 თივე მიზეზით. მართლა და რას ერჩოდნენ საწყალ ჩიტუ-
 ნას, რად დაიჭირეს, ფეხიც მოსტედა. მოაკონდათ ბელურას
 ცრემლით სავსე თვალები და თითონაც გული აუჩუქდათ,
 თვითონაც ცრემლით ავესოთ თვალები და სიტყვას ვეღარ
 ამბობდნენ, ბუიას სავევედურიან სახეს თვალს ვერ უსწორებდნენ.

— ბები, თავის დღეში აღარ დავიჭერთ ჩიტებს!..— წა-
 მოიძახა ორივემ ერთად და ღაზა-ღუზით ცრემლები ჩამოსცვივდათ.

— აბა თქვენ იცით: თუ მართლა კეთილად მოიქცევით,
 ზღაპარს ძალე ვინაოვი...

გავიდა კარგა ხანი. ერთ დღილს ძაღლმა გარეე ევეა ას-
 ტესა. გიგა და თებრო სწრაფლ სახლიდან გაუარდნენ და და-
 ინახეს მოხუცი კაცი ბავშვით, რომელიც ქუდ მოხდილი ზურ-
 სი და მოწყალებას თხოულობდა. სიცივისაგან ზატარა ძაღ-
 ზე კანკალებდა.

თებრომ და გიგამ ძაღლი გააგდეს, ხელი მოსჭიდეს მ-
 თხოვარს და სახლში წაიუვანეს.

— დედი, სტუმარი მოგიუვანეთ!— სიცილით ასარა თებ-
 რომ დედას.

— აქ დაბძანდი, ზაზა! შენცა!— უთხრა გიგამ მოხუცს და
 ბავშვს და ორივე ბუხართან ჩამოსხა.

— აგაშერთ, შვილო, დმერთმა და დიდი კაცები დაგზა-
 რდოთ!..— ლოცავდა მოხუცი.

— სადაური ხარ, ზაზა, ეს შენი რა არის?— ეკითხებოდნენ
 და თან მოჭქონდათ საჭმელ-სახსმელი.

მოხუცმა უამბო თავისი თავ-გადასავალი, როგორ ჩუარ-
 და გაჭირებაში იხა და მისი ზატარა გოგი, როგორ დაექ-
 ცა თავზე სახლი, როგორ დაეკარგა ქონება და სხვა.

გიგამ და თებრომ გადასწევიტეს სახლიდან არსად გუგ
 მათ, ამ ეინვაში გაცივდებიანო. მამაც დასთანხმდა მათ იხო-
 ვნას. მოხუცს ჯერ ეთაკილებოდა, მაგრამ როცა დარწმუნდა,
 რომ გულწრფელად სთხოვდნენ, დათანხმდა. გიგას და თებ-
 როს სისარულს სასდვარი არა ჰქონდა. გოგისთან ერთად
 მოელი დღე თამაშობდნენ.



სადამოთი-კი ბებიამ დაუმახა, შემოისხა კვერდით და გა-
 მოუცხადა, სდანიარი ვიზოვეო.

— როგორა, ბებილო, როგორ იპოვე? — კკითსებოდნენ
 მოუსვენრად.

— როგორა, შვილებო, და ასე: დღეს, როდესაც თქვენ
 მოხუცი და ჰატარი გოგია მოიუვანეთ, ჩიტუნამ დამიძახა
 და მითხრა, ესღა მკათ დანამაული გამოისეიდეს და სდა-
 პარს გიბრუნებო.

— თავის დღეში აღარ დავიჭვრთ ჩიტს! — სთქვა გიგამ.

— აღარც მე, ბებილო! — დაუმატა თებრომ. — ჩიტი ჩვენ-
 სე უფრო გულკეთილი უფიილა...


იმ საღამოს ბებია მასფურცელა: ზღაპარი უამბობდა
 ვაიკეს ისიც, ასფურცელას როგორ გამოადგა ჩადენილი
 სიკეთე: ერთხელ ჭიანჭველას რომ ფეხი აარიდა, ძრავალი წლის
 შემდეგ იმ ჭიანჭველამ უბედურების მოახლოება აცნობა და
 ასფურცელამაც იგი დროით აიცალა.

ვივა და თებრო აძის შემდეგ გამოიცვალენ. სიტყვი
 არა, ჰეპელაძე-კი აღარ დაუჭერიათ...

ახლა უფრო თავისუფლად და გულად გრწობენ თავს,
 მხიარულად ატარებენ დროს ზატარა გოგონას, რომელიც
 ტკბილად შეეთვისა მათ და დღესაც ერთად არიან და ერთად
 ისმენენ ბებიას ზღაპრებს.

ნიკო კეცხოველი.





ს ი შ დ ე რ ა .

(სოფლური)



ს ი და ჰა, ჩემო ხარებო,
ნიშა, ნიკორა, კაბია!
შენ გათავისებულე მაგ შევრდში,
რომ ქარვის რქები გაბია!

თქვენა ხართ ჩემი ერთგული
შმა-მეგობარი ჭირშია,
მოსიუვარულე უებრო,
გამწვევი შვება-ღისინშია.

ერთადა ვძრომობთ, ერთადვე
მივწვებით ცაცხვის ჩრდილშია,
ღიანახლისი გვაღუიძებს
სავეარლად შუა ბილშია.

ჰაი და ჰა, ჩემო ხარებო,
შევირცხლად აცქვიკეთ თვალები,
ჩვენს ნაძრომს სკენვე მოვიმკით,
ჰაუ, თქვენ გენაცვალეები!



დაკარგული შვილები.

(გაგრძელება)

IV



ავუბრუნდეთ ასლა კუნტრუშას და ვნახოთ, სა-
წყალი დედა რა დღეა. საცოდავი თან და თან
სულ უკან-უკან მიდიოდა, ეტეობოდა სიკვდი-

ლის ანრდილი უახლოვდებოდა იმის დაკოდილ გულის ცე-
მას. იწვა კუნტრუშა ისევ იმავე ბუნქის ძირას, რბილ ბალახსა
და ბურტულზე და შვილების ამბის მოლოდინში დაძტვრებით
განცქეროდა ცის სივრცეს. ძალიან გამხდარიყო, ცარიელ ძვლე-
ბზე აბურმგნული ტვახი და ჭქანდა გადაკრული, თუძცა სი-
გამხდრისაკან გადიდებული და ცრემლით სავსე თვალები რა-
ღაც სათნოების გვირგვინს ადგამდა ამ უბედურ არსებას...

ულვაშა არ შორდებოდა დობილს და, კუნტრუშას თა-
თან წამოსკუნებული, მის დარღს სავსებით იზიარებდა. სხვა
კურდღლებიც ეოველ ღამ იკრიფებოდნენ კუნტრუშას საწოლ-
თან და ხელის ბაახით სცდილობდნენ გაერთოთ დადარდი-
ანებული დედის გული. ეველანი ურცქვიტასაკან ამბავს ელოდ-
დნენ... აკერ მესამე დღე იყო, წავიდა უურცქვიტა ბაჭიების



სამებნელად და მას შემდეგ აღარავის უნახავს. ეს გარემოება უფრო აფიქრებდა და ადარდებდა ეველას...

სადამოუდებოდა. ცაზე ვარსკვლავები ნელ-ნელა ჩნდებოდნენ და მოციმციმე ღიმილით თითქოს ამბობდნენ: „აი, ჩვენც აქა ვართ და თქვენ-კი ვერა გვხვდავდითო!..“ ხაყსე მთვარის სახეშიც წენარად გადმოანათა გორის წვერიდან და თითქოს სიბრაღულით გადმოხედა კუნტრუმას საწოლს.

კურდღლები ჩუმის ბასნით დასვირობდნენ შვეხე ეველსე და კუნტრუმას მდგომარეობასე ღაზარაკობდნენ...



— ვიპოვე!.. ვიპოვე!..— დაიძახა უცებ საიდანღაც განკნილმა ეურცქვიტამ, რომელიც ქაქანით შემოვარდა მინდვრიანზე და დაღლილ-დაქანცული კუნტრუმას ლოგინის წინ წაიქცა... ეველსე გასარებული მივარდა ეურცქვიტას.

— როგორ?..

— საიდან?..

— სად არიან?..

ისმობდა ეოველ მსრიდან, მაგრამ ეურცქვიტა ისე იყო

დადლილი, რომ ლაპარაკის თავი აღიარა ქქონდა. დიდხანს ექქინა საცოდავად, მერე, როგორც იყო, სული მოითქვა და დაწყო თავისი ამბავი:

— ბევრი ვიხეტიალე ამ სამ დღეს... ხან კივივით მივე-
როდი მინდვრიაჩებზე, ხან-კი ფრთხილად მივიპარებოდი მუ-
ვლიანებში და სხვა ბუნქნარებში... ბევრი ვიწვალე, მაგრამ,
მადლობა ღმერთს, ჩემმა შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. სად
არ ვიუავი ამ სამ დღეს, სულ შემოვირბინე ტყე და ჭაღა,
მაგრამ არა და არა, ვერაფერი მეშველა, კვალიც კი ვერ მი-
ვაგენ... სულ გადამიწუდა იმედი და აქეთ წამოხვლას ვაპი-
რებდი, მაგრამ ვსთქვი, გულის დასამძვდებლად ტყის შემოთ
გორაკზეც ავირბენ-მეთქი. აუედი, ვეძებე, მაგრამ ამაოდ, ვე-
რაფერი ვნახე. დაჯანირე კიდევ საითმე წასვლა, მაგრამ აღ-
არ ვიცოდი, საით და ამიტომ მივუვექი პატარა გორაკზე, და-
ბალი თხილიანი რომ არის, ხომ იცით?—პაწია წყაროც ჩა-
მოწანწკარებს იქ. ჭო და ვსივარ ამ თხილიანის ძირში და
ვოქრობ, სადღა წავიდე მეთქი, რომ უეცრად თხილიანის
ქორე ძირიდან რაღაც სმაურობა მომესმა. ნელა გადავიხედე
და რას ვხედავ: ორ ქონდრის კაცს სურგზე თითო ბაჭია
წამოუკიდნიათ და ქონისავენ მიჭეავთ... მაშინვე მივხვდი, რომ
ეს ის ბაჭიებია, რომელთაც ვეძებ მეთქი და ჩქარი სიობი-
ლით გამოვწიე აქეთგენ ამბის მოსატანად.

— ცოცხლები არიან?—ამოკუნესით იკითხა კუნტრუმამ
და ხარბათ დაამტკრა დიდრონი, ცრემლიანი თვალები ურ-
ცქვითას.

— ცოცხლები არიან, მამ!—შიარულად უნახუხა ურცქ-
ვითამ,—ისე დასუქებულან და გაფუნხულავებულან, რომ ვე-
ღარც-კი იცნობ!..



—ქოსისკენ მიჰქევადათ?—ჩუმად ჰკითხა ულვამაძე. ტის-მუტი ვურადღებისაგან ზირი ღია დარჩა.

—ჰო, ქოსისკენ... ისინი ესლა ქოსში იქნებიან, —უპასუხა ეურცქვიტამ.

—იქნება იქ დაკლან ზაწიები? —კიდევ იკითხა ულვამაძე ჩურჩულით.

—ვევლავური შესაძლებელია, სომ იცი, რა მხეცები არიან, —ჩურჩულითვე უპასუხა ეურცქვიტამ, —დავეჩქაროთ, წავიდეთ, იქნება როგორმე გამოვიუფანოთ ქოსიდან ბაჭიები...

—მამ წავიდეთ! —სმა-მაღლა წამოიძახა ულვამაძე და მიუბრუნდა კუნტრუშას, რომელსაც სისარულისაგან ხან აცეობდა, ხან აცხელებდა...

ამ სისარულმაც საშინლად დაასუსტა საწყალი, ისე რომ თითქმის გულიც-კი უღონდებოდა.

—ჩვენ წავალთ და მალე აქ მოგვკრით მენს შვილებს! — აღერსიანად მიძართა ულვამაძე.


—არა, მოიცათ... გეშუდარებით, მეც წამიუვანეთ, —წაილულღუდა კუნტრუშამ, —ნუ დამტოვებთ აქ... ახლავე მინდა ენახო ჩემი შვილები... ახლავე... თორემ გული უცნაურად მიჩქროლავს... წამიუვანეთ... უკანასკნელად კიდევ მანჯვენთ ჩემი ზაწიები... დიას, უკანასკნელად!.. ვგრძნობ, რომ მალე მოვკვდები... —უკანასკნელი სიტყვები კუნტრუშამ ჩუმად წაიჩურჩულა და ვედრებით და მწუხარებით დააცქერდა ულვამაძეს.

უარის თქმა ეოვლად შეუძლებელი იყო.

ბევრი ლაპარაკის შემდეგ გადასწევიტეს, ხელდახელ გავეკეთებინათ საკაცე, ზედ დაეწვიინათ კუნტრუშა და ისე გასდკომოდნენ ვხას. კურდღლები დაუაცურდნენ, ზოგს მუინდის ტოტი მოჰქონდა, ზოგს თხილის წნელები, ზოგს ტირიფის




რტოები; ერთის სიტყვით, ხუთ წუთში საკაცე შხად იურ...
 ძლივს, ვაი-ვაგლახით დააწვინეს ფერმისდილი კურტ...
 რუმა საკაცეზე, რომელიც ოთხმა კურდღელმა ასწია, და მარ-
 დი ნაბიჯით გასწიეს იქით, საითაც ეურცქვიტა გაუძღვათ.
 სწვა კურდღლებიც უკან გაჭკენენ საკაცეს და როცა ის ოთ-
 ხი კურდღელი, რომელთაც საკაცე მიჭქონდათ, იღლებოდა,
 სწვა ოთხი კურდღელი შიამუნძულებდა გორაკისაკენ საკაცეზე
 მწოდარე კურტრუმას...



მთვარე კარგათ ამოხული იყო. სადღაც ტყეში შიკიოტი
 გაჭკიოდა საზარელი სმით. ეურცქვიტა კი მარდად მიდიოდა
 წინ და თანამგზავრებსაც აჩქარებდა.

(დასასრული იქნება)



განთიადი.



დნავ დაჭკრა გარიყრბუძე,
ცა შუკროთა და გაიღვიძა;
აჭიკჭიკდა ლამაზი სმით
განთიადის ტკბილი მიძა.

ელვის ფრენით შემოველო
მძინარე ველს მკრბტელა,
ჩაუქროლა ნაკადულებს,
ფრთა დაჭკრა და დაისველა.

ვეზვილს ნაზად წასსურსულა:
გაიღვიძე, კმბრა, დაო!
დიღის ნამი ზირს გიკოცნის,
რახანია გათუნდაო.

ჩახრიალაც წინწკლებს 'ტესვრის
არდიგარდმო როგორც მძიუებს,
ადე, ადე, შეეკებე
ღამაზი მზის ღამაზ სხივებს.

დიღის ნიავს უნდა შენთან
იცელაქოს და იფარფაროს

და როდესაც დაიღლება,
თავი შენვე შეკაფაროს...

ცელქებო, თქვენც გაინძრით,
საბანი ნუ წაიბურეთ;
წამოდექით ღხენით, ძღვრით
სასწავლებელს მიაშურეთ...

უკვლავ ასე დასჭიკჭიკებს
განთიადზე მკვრატულა,
მანამდის მზე აუსწრებდა,
გააღვიძა თითქმის უკვლა.

შიო შლვიმელი.





ჰოლანდიის დათვალიერება.



ძეგო! ასლა სად წაზიდეთ?—იკითხა ტუხ-კრძე-
 ლამ,—ინგლისი ჟოველი მხრივ წელით არის
 შემორტეპული და სძელეთით აქედან ვერ გავალთ.
 თუ გინდათ, ძველი გ სით დავბრუნდეთ სახლში—მა-დე-კალეს
 ზრუტეთი და საფრანგეთით, ან რომელიმე სხვა სახელმწიფო-
 ზე გავიდეთ, რომელიც ზღვის ნაპირას მდებარეობს, მაგა-
 ლითად, ჰოლანდიაზე.

—რასაკვირველია, ჰოლანდიაზე! საფრანგეთში სომ ვი-
 ეავით,—უპასუხეს ჯუჯა კაცებმა.



— მამ საქმეს შეუდგეთ! — ბრძანა ტუნ-გრძელებმ და წყვეტა წველას წყალში სასიარულო ფეხსაცმელი.

— ჭეპ, ჭეპ, ჭეპ!... — მიტომაკდნენ წყალში ნაწინა ფეხებით
— აკერ ხიდი! — დაიფერა თვალ-ჭეჭტიამ.

— ეკ, ძამია, ხიდი არ არის, სის კალაფანია, რომელიც წყალს იჭერს და იმის ძალას ასუსტებს, — უპასუხა ექიმმა.

ექიმმა აუხსნა ჯუჯა კაცებს, რომ ჰოლანდია გამენდა წყლის მიერ მოტანილ ქვიძასა და ლამსუ. ჰოლანდია ზღვის ნაპირს მდებარეობს. ეს ნაპირი ძალიან დაბადია და მუდამ შიში მოელის ზღვის ტალღებისაკან. ამიტომ ჰოლანდიელებს გამუდმებული შემოღა აქვთ ზღვასთან: ამგვრებენ ნაპირებს, აკლებენ კალაფანებს და ჯებირებს, ჰურიან მიწას და სხვა.

ექიმის ამბავი ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ ეურს არავინ უკდებდა; ეველს კიცივით კალაფანისა და წყლისკენ კარბოდა, უნდოდათ გადასულიყვნენ კალაფანს, შემდეგ ფიცარსე და ქვიძასე გაეულოთ და შესულიყვნენ ქალაქში, რომელიც შირს მოსჩანდა. ამ ფაცი-ფუცში კალაფანი გადატედა და ჯუჯა კაცები კინელამ წყალში ჩაცვივდნენ. ბოლოს, როგორც იყო, ნაპირს გაუდნენ.

უცებ ეველანი შეჩერდნენ: მათ წინ ხმაურობით მირბოდა ჰატარა მდინარე, რომელსაც მოძრაობაში მოჭეკვდა წისქვილის ქვები.

— გაფცუროთ მდინარე! — სთქვა ექიმმა.


— გაფცუროთ! გაფცუროთ! აბა ჩქარა! — მისცეს ბანი სხვებს და შეცურდნენ მდინარეში.

— მას-შერემახ, მომეცი ერთი ხელი, შენ, ტუნ-გრძელავ, კიდევ მეორე! — ევი ოდა ვიცაია. ზი ასე ხელი-ხელი გადაბმულნი აღვიღად გავდით.



— ვაიმე, ძმებო, ვიდვრჩები, მიშველეთ! მიშველეთ! იუვირა მურსილკამ და წვალში ჩაიუურუქებლავა.

— ნუ გეშინიან, ვერ დაიხრჩობი, წვალი ღრმა არ არის! უპახუნა სიცილით არვიცაიამ, რომელიც მის გვერდით მიცურავდა.



ფაქო ფრეში გალავანი გადამავა

— შენ რა იცი, რომ ღრმა არ არის? — მიუბრუნდა მას შტკინო თაფი.

— კარგი, გეოფათ, ნუ ჩხუბობთ! — ჩაფრთხილდა სხვები, — აკერ ქალაქიც გამოჩნდა.

როგორც იყო, უკვლანი გავიდნენ ნაპირზე, გაიმრეს ტანისამოსი და გაუდგნენ კზას.

მაღე მათ თვალწინ გადაიშალა ნაფთსადგურისანი, დიდი



ქალაქი, საიდანაც კემები სხვა და სხვა ქვეყნებში მიდი-
ნენ. ზოგი ნაგოსადგურში შემოდის, ზოგი კადიობდა. ჯუ-
ჯა კაცებმა იცნეს ნაპირზე მყოფი აფრიკელი ზანგები, ინ-
დოელები თვალთ მოჭკრეს ერთ ნაცნობ მერცხალსაც-
რომელიც მათთან ერთად ევროპაში მოფრინდა. ჯუჯა-
კაცე-
ბი დიდხანს დაძვრებოდნენ ქალაქში, ეურს უბედებდნენ უცხო-
ენას. ათვალეობდნენ ახალ ხალხს.

— მე აღარ მინდა აქ დარჩენა, არაფერია საინტერესო
წავიდეთ ჰოლანდიელების ქალაქ ამსტერდამში, სადაც ჰეტრე
დიდი ნაგოსობას სწავლობდა. ვნახოთ ამსტერდამი, აქ კი რა
უნდა ვაგაკეთო—დაიბსა მურზილკამ.

— მოიცადე, — უნახეს მშობმა, — ჯერ ვვალაფერი დავა-
თვალეოთ აქ და შემდეგ წავიდეთ ამსტერდამში.

მურზილკამ რაღაც წაიბუტბუტა და ქალაქიდან კანკლა-
მდე ხმა აღარ ამოუღია.

მეორე დღეს ჯუჯებმა ნამით ზირი დაიბანეს, ვვაგილე-
ბის ტკბილი წვენი დალიეს და გათენებისას გ'სას გაუღვნენ.
შუადღისას დასვენება გადასწვეიტეს. ამისთვის ჩქარი მდინა-
რის ჩრდილოვანი ნაპირი აირჩიეს.

— ბატონებო! აქ ახლო წისქვილია, რას იტყვით, არა
ვნახოთ? — იკითხა ექიმმა მას-ჰერემსმა.

— სიამოვნებით! — შეჩოქოდნენ მშობი.

— მე შეწისქვილე ვ-ქნები! — წამოიბასა ჩუშმა-მისანმა და
თავზე ჭრელი თავსაკრავი წაიკრა.

— აქ რაღაც ამბავია! — სთქვას ჯუჯებმა წისქვილის ეხო-
ში შესვლისათნავე, — ახლა სწორედ მუშაობის ხანაა, წისქვი-
ლი-კი გაჩერებულია. ნეტავი ჰეტრონი ცოცხალია თუ არა?


— მშობო! — თითქო ზასუსად დაივიროს ჩუშმა მისანმა, —



ეს არის ესლა ვიუავი მეწისქვილის ქოსში, საცოდვესი
ნასკნელ დღეშია. ცოლი და შვილები ტირიან, სობრალი ბე-
რია და მუშა კი არავენ არის.

—ნუ თუ მართლა!—გააწყვეტინეს ჟუჯებმა და დაიწ-
ვეს სჯა, თუ როგორ უშველონ მეწისქვილს.

—როგორ გაბედე ჩემი წითელი თავსაკრავის აღება? მა-
კისკან თათრული ხალათი უნდა შეშვეკრა!—წამოხტა მოუ-
ლოდნელად მურწილკა და მივარდა ჩემ მისხსს.



—ჰა! ჰა! ჰა!—გაიცინეს ჟუჯებმა, —დახე უტვინოს: აქ
თავებს ვიტყვავთ, როგორ უშველოთ გაჭირვებულს, ეს-კი
რავებს კაიმახის. არა, როგორ არა გრცხვენინა?

მერცხვენილი მურწილკა საჩქაროდ წაეიდა. სწვები-კი
მეუღგნენ ფიქრს, როგორ უშველონ უბედურს.

—მაზ-პერემაზ, მენ კარგი ექიმი ხარ; ბაღასის წამლე-
ბი იცი, მოარჩინე მეწისქვილე! მენ-კი, ვიცნია, წადი, გაიგე,
ღარიბი ხომ არ არის მეწისქვილე. იქნებ იმის ოჯახს რა-
მე უჭირს!—ასე ამბობდა ტუზ-გრძელა.

ექიმი მაზ-პერემაზი, კმაყოფილი, რომ ასეთი საქმე მი-
ანდეს, გაიქცა ტყეში, მოაგროვა სხვა და სხვა ბაღასი და უჩინრად
მეწისქვილეს სახლში შევიდა. როდესაც ეველას ეძინა, მან
ავადმოფის სასმელში თავისი წამალი შეურია, ამ წამლისა-
გან მეწისქვილე უცბად უნდა მოჩინილიყო.

წისქვილში-კი ამ დროს დიდი ფაცი-ფუცი და ხუჭუჭი
 რი იყო. საქმე დულდა და კადმოდიოდა, ჯუჯა-კაცებს უნდო-
 დათ ერთ დღეში დაუქვანთ სორბალი, რომ მეწისქვილემ მორ-
 ჩენისათხავე შესძლოს წახვლა და ფქვილის გაეიდვა. დამე, რო-
 ცა მეწისქვილე იღვიბებდა, სვამდა ზაწაწინტელა კქიმის
 მიერ მომზადებულ სასმელს და აზრადაც არ მოსდიოდა, თუ
 რა ძალა იძლეობდა ამ წამალში.

მეორე დღეს ჯანმრთელმა და მაკარმა კაიღვიმა, თით-
 ქო ავად ანც-კი ეოფილიოს.

— დმერთო ჩემო! — უკვირდა მეწისქვილეს, — წუხელის ისე
 ცუდათ ვიყავი, რომ სიკვდილს ვკლავდი, დღეს-კი სრულიად
 ჯანმრთელი ავდექი.

ტანთ ჩაიცვა და წისქვილისკენ წავიდა. ოთხ თვეზე მე-
 ტია, ავანთყოფობის გამო წისქვილში აღარ შეუხედნია.

— სორბალი დაღებოდა და წისქვილიც დაიშლებოდა,
 ავადყოფობის წინ სასურავი ისე იყო გაფუჭებული, რომ
 წვიმა ჩამოდიოდა, — მიდიოდა და ფიქრობდა მეწისქვილე.

მაგრამ როდესაც წისქვილში მივიდა, გაცდა: სასუ-
 რავი და წისქვილის ფრთები ძველებული დაჭხვდა, ხოლო
 სორბალი წმინდათ დაფუქული და ტომრებში ჩაურელი. გაკვირ-
 ვებისაგან ზირ-დაღებული დარჩა.

— დმერთო დიდებულო! — დაძახა მეწისქვილემ და თან
 გახარებულ თვალემა ავლებდა ასე კარვად გაკეთებულ საქ-
 მეს. ჯუჯები-კი ამ დროს სასურავზე წამოწოლილიყვნენ, ჭუ-
 ჭრუტანებში იეურებოდნენ და მესაროდნენ სხვის ბედნიერებას.

— კარგი, კეოფათ ერთი! — დაძახა სასურავიდან ჩამო-
 ვარვებულმა მურზალკამ. — არა, რა ნახეთ, რომ ვერე გაკვი-
 რვებული უეურებთ! ფრავი სულ დამუფხრიწა ამ საბაგელ სა-



სურავსე ცოცვათ. წავიდეთ აქედან, თორემ სულ დავრჩები!

—ნუ წუწუნებ ერთი შენცა!—შესძახა უკუდმართამ.

—ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!—გაისმა ამ დროს სამხრეთი ხმა. ტრიალა, სწრაფია და მიძა ხასურავიდან ჰირდაჰირ მდინარეში ჩაცვივდნენ.



—ახია თქვენსე, სომ გეკუნებოდით, წავიდეთ შეთქი! არ დაძვერეთ და მოგხვდით თუ არა!—ნიძნის მოგებით კვიროდა მურზილკა.

—დიდი ხაქმე მოძიდარა!—ამბობდნენ წულიდან გამოსული ტრიალა, სწრაფია და მიძა, —მეორეი უფრო ფრთხილათ ვიქნებით, ამასთან არც ბანაობა გვაწვევს.

—მურზილკა, კიდევ დაიწვე ხსები, რა მოუსვენარი რამა ხარ!—სთქვა ტუჩ-გრძელამ. —ესლა უნდა თათბირი გავმართოთ, შენ-კი უბრალო რამესე ცეცხლი გეკიდება!

—რა თათბირი?—შემყოთდა მურზილკა, რომელმაც ხელად იცოდა გაჯაურებაც და დამშვიდებაც.

—უნდა გადავწყვიტოთ, ჰოლანდიდან სად წავიდეთ. მაზ-პერემაზ გვიჩვენებს ბელგიაზე კავიაროთ და სამხრეთით წავიდეთ მწიგნობარა კი კაიძახის, ჩრდილოეთისკენ გაუდგეთ გზას, კავიაროთ დანია, ნორვეგია, შვეცია და მინ დავბრუნდეთ, —უძახუნა ტუჩ-გრძელამ.



— ჰა! — გაიქნია თავი მურზილკამ, მეც ბელგიაზე
 ქრობ. ამბობენ, იქ საუკეთესო აზმობებს აკეთებენო: იქნებ
 მეც უნახო რაღე ზემო ტანისამოსისთვის, მაკალითად, ძველუ-
 ბური...

— ჰა, ჰა, ჰა! — გაიხმა გარემოში სარხარი, მაგრამ მურ-
 ზილკა აღარ უავრობდა, ხედავდა, რომ მისი სურვილი ასრუ-
 ლებული იქნებოდა.

6. დიახამიძე.



ღ ა ლ ღ ა .



კახაფსული უმეტეს გავიდა. სო-
 ფელში დამით ბუღბუღის
 სმა აღარ ატკბობს არუ-მარეს
 და სიჩუმეს არღვევს მხოლოდ
 ჭოტის სეკდიანი სმა და ღაღ-

დას უცნაური გალობა. „რრრაკ-რრრაკ“ — დრო გამოძვებით,
 თითქოს სერსხავს რასმესო, გაიძახის ღაღღა. მიისი სმა ხან ძლი-
 ყრია, ხან სუსტი, ზოგჯერ შორიდან მოისმის და ზოგჯერ
 ახლოდან. ამნაირი გალობით მძაღლი ღაღღა ესმაურება თავის
 ძეუღლეს, სხვა და სხვა ნაირი სიმღიერე ხმისა აიხსნება იმ
 ვარემოებით, რომ ღაღღა ხან ერთ მხარეს შიადებს თავს და
 დაიძახებს და ხან მეორე მხარეს, თანაც სულ დარბის, სირ-
 ბილი კი მძვინიერი იცის, მწვერს არ ჩამოუვარდებს ამ მხრივ.

სამაგიეროთ ფრენა ძლიერ ესარება. ფეხიც რომ დაად-
 გათ, მაშინაც წამოფრენის მაგიერ ბალახებში მიძაღვას რჩებას.
 მართლაც, ბალახებში მას ვერაზინ დაინახავს, ვერც ადამიანი
 და ვერც მტაცებელი ფრინველი. მხოლოდ მუქებარი ძაღლი
 თუ იზოვის. საქართველოში ღაღღა აზრილის ბოლო
 რიცხვებში მოდის სოლმე. ზამთარს კი ცხელ ქვეყნებში ატა-
 რებს. რადგანაც მოსვლისას საკმაოდ ძაღლი ბალახი
 არ დახვდება სოლმე, იგი ჯერ ჭაბებში სცხოვრობს, შემ-
 დგებ ბაღებში და მინდვრებში, მხოლოდ ბალახი რომ გაითი-
 ბება ეანებში და შემოდგომით კი ბუჩქებში იძაღვება. სანამ თე-




სლუელობა მოვიდოდეს, იგი მატლებით და ჭიებით იკვებება. შემდეგში კი თესლულობით.

ზირველ შემთხვევაში, მავნე მწერების განადგურებით, მას რა თქმა უნდა სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის. მეორე შემთხვევაში კი ე. ი. თესლულობას რომ დაუწიებს ჭამას, იგი ახარალებს ადამიანს. ბუდის კეთებას იწვებს მისის ბოლო რიცხვებში: სადმე ბუნჯის ძირას იგი აკებს ბალახს და შიგა სდებს 8-12 მოთეთრო და მუქი ფერის დაწინწკლულ კვერცხებს. სამი კვირის შემდეგ იხვეებიან დაბუძლული ბარტყები. მათ უკვე მშვენივრად შეუძლიანთ სირბილი და თესლულობის კენკვა. გამოჩეკის შემდეგ დედან დაჭეავს ბარტყები უანებში, ბაღებში და ტუის ზირებში, სადაც ჰკვებავს მათ თესლულობით.

აი ზატარა ღაღლები დაიხარდნენ. დადგა ოქტომბერი, დამდამობით უკვე ცივა, ხეებს ფოთლები უკვითლდებოთ და ღაღლებიც მიემკსავრებიან ცხელ ქვევებში.

ტანად ღაღლა მწერის ოდენაა, მხოლოდ უფრო ძალიან ფეხები აქვს და მოგრძო თავი. ფერი ქვევიდან რუსი აქვს, სევიდან კი რუსი ფერის გარდა მრავალი მავი და წაბლის ფერი წინსვლები აერია.

პ. სავარელიძე.





ქონდრის კაცები აფრიკაში.



ველი დროიდანვე ცნობილი იყო, რომ ზაღდაც შორს, აფრიკაში, მდინარე ნილოსის სათავეში სცხვრობენ ჰატარა კაცები, რომელნიც სიმბლით ბაუშეებს არ აღემატებიან. საბურმეთის ჰირველი ისტორიკოსი ჰეროდოტე კვიამბობს, რომ ლიბიის უდაბნოს სამხრეთით, დიდი მდინარის ნაპირებზე, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიმდინარეობს, სცხვრობენ ქონდრის კაცები, რომელნიც ჩვეულებრივ ადამიანზე ჰატარეები არიანო. ეს მდინარე, როგორც ფიქრობდნენ, მდინ. კონგო უნდა ეოფილიყო.

შემდეგში ამ ჯუჯა-კაცებზე აღარაფერი იხმის. მხოლოდ ძეზიდმეტე საუკუნეში, კუნძულ მადაგასკარის კუბერნატორი იუწეებოდა, რომ აფრიკის დასავლეთ ნაპირებზე ჰატარა ტანის ხალხი ცხოვრობსო.

1858 წელს ორმა ფრანგმა მოგზაურმა დუ-მულიემ და დე-ფლაკრუმ სწორედ იმ ადგილებში ნახეს ჰატარა ტანის ხალხი, სასელად აბონგო და ტუკა. ევროპაში ამ მოგზაურების მოხსენებას არ დაუჯერეს, ამბობდნენ, სცდებიანო. ბოლოს მოგზაურმა შეაინფურტმა გამოაცხადა, რომ მდინარე კონგოზე ჩები თვალთ ვნახე ქონდრის კაცები, სასელად აკკა.

ესლა დანამდვილებით ვიცით, რომ აფრიკაში ჯუჯა-კაცების მრავალი ტომია. სიმაღლით ეს კაცები არშინ ნახევარს არ აღემატებიან, სოკი ორ არშინს აღწევს. საზოგადოდ, ჯუჯა-კაცები უმხო და მახინჯები გვგონია. ნამდვილად-კი ძალიან ლამაზი, კარგად მოუყანილი და ღონიერი ხალხია.

ვევლა ესენი ველურები არიან. ხუნა-თესვას არ მისდევენ, იკვებებიან მცენარეთა ძირებით, ნადირის, ხორციით და ხილით. ამ მიზეზით ერთ ადგილზე არ ბინადრობენ და ადგილიდან ადგილზე გადადიან. სასლებს არ იშენებენ და ხის შტოებიდან გაკეთებულ კარუკებში სცხოვრობენ. იმათ სანადირო იარაღს შვილდ-ისარი და ხის შტოები შეადგენს. მოძინაუ რებული ჭეჯუთ მხოლოდ ქათამი, ისიც მსხვერპლის შესაწირავად და არა საჭმელად.

ღმერთზე მათ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. ხწამთ რაღაც უხენაესი არსება, რომელსაც სახელად „ერ“-ს ეძახიან. გაჭირვებისა და ხიფათის დროს ლოცვით მიმართა, ვენ ხოლმე ამ „ერ“-ს: ეირამალა დგებიან ხელებზე და ასეთის სიტყვებით ვვედრებიან: „ერ, მენ თუ მართლა არსებობ-რატომ აძლეე შტრებს ნებას ჩვენი დახოცვისას? ჩვენ ხომ არაფერსა გთხოვთ, რადგან ვკმაყოფილდებით გველებით, თაგ-ჯებით და ჭიანჭველებით. შენ გაგვანინე და ნუ გვამცირებ ესლა!“

ამ ჯუჯა-კაცებს არც მეფეები ჭეჯუთ და არც რაიმე კანონები აქვთ. გვარულებად-კი არიან დაყოფილნი.

ეს ჯუჯა-კაცები უდაბურ ტყეებში სცხოვრობენ, ვევლას ეძალებიან და ამიტომ ძნელია და იმეცათი სანახაზინიც არიან.

სულ რაბდენიმე წელიწადია, რაც ინგლისის ერთმა საზოგადოებამ ახალი ცნობები გამოაქვეყნა ჯუჯა-კაცების შესახებ. ისინი გვინების კუნძულზე სცხოვრობენ, შიგებსა და ტყეებში მიძალუნნი.



სიძლით 1 $\frac{1}{2}$ არშინს აღებატებთან. ტანსაშუალო
 ფერი აქვთ და სახესე სქელი წვერი ამოსდით. მოს უცვებულო-
 ბის დროს თბა კი არ უთეთრდებათ, უწითლდებათ. ტანისამოსის
 ხმარება არ იცინან, მხოლოდ ზატარა წინსაფარები აქვთ,
 ფოთლებისაგან დაწნული. სამაჯიეროდ ძალიან უყვართ სამ-
 კაული ძვლებისა და კბილურისაგან გამოთლილი, სამაჯურები,
 ექლსაბამები და სხვა.



აღწეა.





1921 წელს

გამოვა საემაწვილო ჟურნალები

===== **უძველესი თხზულებანი** =====

მცირე-წლოვ. „**ნაკადული**“ მე-XVII წ.

და მოზრდილთათვის

„**ჭიჭილი**“ მე-XXX წ.

ჟურნალები გამოდის სახალხო განათლების სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობასთან არსებულ სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალები დაურიგდება სასწავლებლებს უფასოდ.

მისამართი: სახალხო განათლების კომისარიატი.

რედაქტორები } ან. წერეთელი.
 } ნ. ნაკაშიძე.